სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030617967318520

**19 / ოქტომბერი / 2020 წ.** **თბილისი #06-203/ო**

## „დაწესებულებებში, თანამშრომელთა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ტესტირების ერთჯერადი შენარჩევის ზომა და შენარჩევის გენერირების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის #06-200/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** „დაწესებულებებში, თანამშრომელთა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ტესტირების ერთჯერადი შენარჩევის ზომა და შენარჩევის გენერირების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის #06-200/ო ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის - „დაწესებულებებში, თანამშრომელთა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ტესტირების ერთჯერადი შენარჩევის ზომა და შენარჩევის გენერირების წესი (დროებითი რეკომენდაცია)“ შესაბამისად.
**2.** დაევალოს, ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.
**3.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
**4.** ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი — ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად — ამირან გამყრელიძე